პროლეტარებო ყველა ქვეყნი'ა შეერთდით!

წითელი მეომარი

1923
დეკემბერი.
21
პარასკევი
შესან. მოვლენათა დღიური

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მან. 20 კ.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 403 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 5 კაპ. ჩერ. № 403

ქ. მ. დივიზიის პარტ-ორგანიზაციების პასუხისმგებელ მდივნებს.

წინადადება გეძლევათ მომავალ ღია კომუჯრედის კრებაზე დასვათ საკითხათ:

„გლეხთა დამხმარე კომიტეტები და მისი მნიშვნელობა“.

მასალები: დებულება დამხ. კომიტეტებისა იბეჭდება აქვე.

ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილება.

შენიშვნა: ტეხნიკურ დაბრკოლებების გამო დღის წესრიგის გამოქვეყნებამ გაზეთში დაიგვიანა.

საქონელი გაიაფდა.

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის უმთავრეს საკითხად ითვლება ე. წ. „მაკრატელი“-ს საკითხი.

მისი თვისება შემდეგში გამოიხატება. სხვა და სხვა პირობების გამო ფაბრიკის ნაწარმოებზე ფასები მეტად გაიზარდა. ამავე დროს სოფლის ნაწარმოებზე, როგორიცაა პური და სხვა სასურსათო პროდუქტების ფასები დაეცა. ის ნორმალური ურთიერთობა, რომელიც სუფევდა სოფელსა და ქალაქის ნაწარმოებებს შორის დაირღვა და იმდენად გამწვავდა, რომ ის იმუქრებოდა ქალაქის და სოფელს შორის კავშირის გაწყვეტით. გლეხს, რომელსაც საშუალება ჰქონდა წინათ ერთი ფუთი პურის საღირალით შეეძინა 7—8 არშინი ჩითი, დღეს მან ერთ არშინ ჩითში თითქმის ფუთი ხორბალი უნდა მისცეს. ეს გარემოება მეტად ცუდ პირობებში აყენებს გლეხობას. მას არ აქვს საშუალება შეიძინოს ქალაქის ნაწარმოები და ამით დაიკმაყოფილოს უმთავრესი და აუცილებელი მოთხოვნილებანი.

ჩვენი პარტიის მეთორმეტე ყრილობაზე ამხ. ტროცკიმ ქალაქის და სოფლის ნაწარმოების ფასების ზრდა და დაცემა შეადარა „მაკრატლის“ და ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა პარტიის და საბჭოთა ორგანოების წინაშე სოფელსა და ქალაქს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება, ე. ი. ქალაქის ნაწარმოებზე შეძლების დაგვარად ფასების დაწევა და სოფლის ნაწარმოების ფასების აწევა.

უმაღლესი სამეურნეო ორგანოები და პარტია მთელ თავის მუშაობას აქეთკენ მიმართავდენ. რამოდენიმე თვის განმავლობაში დაუღალავი, თავდადებული მუშაობა სწარმოებდა ამ მიმართულებით. უკანასკნელ ხანებში რუსეთში კიდეც მიაღწიეს რამოდენიმედ შედეგებს. მაგრამ ამიერ-კავკასიაში კი მდგომარეობა ისევ ძველი დარჩა და დღითი დღე ღრმავდებოდა უფსკრული ქალაქის და სოფლის ნაწარმოებებს შორის. რა თქმა უნდ ასეთი მდგომარება არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო დიდ ხანს, თუ ამას თავის დროზე არ მოეღებოდა ბოლო, გლეხობა სავსებით მოწყდებოდა ქალაქს და ეს კი საბედისწერო იქნებოდა ჩვენი ხელისუფლებისათვის, საბჭოთა აღმაშენებლობისათვის.

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებმა მთელი თავის ძალა და ღონე მიმართეს აქეთკენ. უკანასკნელ დღეებში დაარსდა ამიერ-კავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭო და შინაგან ვაჭრობის კომისია. აღნიშნულ ორგანოების დანიშნულება არის მეურნეობის აღდგენა, მრეწველობის გაჯანსაღება და დღეს რაც უმთავრესია, ქალაქის და სოფლის ნაწარმოებებს შორის სასურველ დამოკიდებულების დამყარება.

შინაგან ვაჭრობის კომისიამ უკვე გადადგა ნაბიჯი წინ. პირველი მისი მუშაობა მეტად სასურველი აღმოჩნდა. უმთავრესი ყურადღება მიექცა გლეხისათვის პირველ საჭიროების საგნებს: ნავთს, მარილს და მანუფაქტურას. აი როგორი შედეგი გამოიღო შინ. ვაჭ. კომისიის მუშაობამ აღნიშნულ პროდუქტების ფასების დაწევისაკენ მიმართულში. ფუთი ნავთი ფასობდა 3-4 ჩერ. მანეთსა ქალაქში. სოფელში კი ის აღწევდა 5-7 მანეთამდე. ომამდის ნავთი ღირდა 1 მან. 20 კ., მაშასადამე, ფასები ნავთზე მეტად გაიზარდა. შინ. ვაჭ. კომისიამ შეამოკლა მრავალი გადასახადები ნავთზე და ამის შემდეგ ნავთზე ფასები დაეცა 52 პროც. როგორც ვხედავთ ნახევარზე მეტად. მარილის მიმართაც ასეთი ზომები იქმნა მიღებული. მარილის ფასმა დაიკლო 50 პროცენტამდის. მანუფაქტურაზედაც დაწეული იქმნა ფასები 24—45 პროცენტამდის. აქ კიდევ ის არის აღსანიშნავი, რომ პროვინციას მეტი ყურადღება მიექცა და იქ გაცილებით მეტად შემოკლდა ფასები ვიდრე თბილისში.

ეს პირველი ნაბიჯია, ეს მხოლოდ დასაწყისია. კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი გვაქვს გასაკეთებელი ამ მიმართულებით. დღეს კი სიამოვნებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ორგანოების პირველმა მუშაობამ მეტად დიდი შედეგები გამოიღეს.

ეს მუშაობა მომავალში, იმედი გვაქვს, გაფართოვდება, გაღრმავდება და განვითარდება.

ჩვენი უმთავრესი ამოცანა გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესება, მისთვის ქალაქის ნაწარმოების ხელსაყრელ, მისაწვდომ ფასებში მიწოდება.

ფასების დაკლება გაადიდებს ქალაქის ნაწარმოებზე მოთხოვნილებას. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მრეწველობის განვითარებას და სოფლის მეურნეობის გაჯანსაღებას. თუ ეს მუშაობა გაგრძელდა მეტი ინტენსივობით, რომელშიაც ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, მომავალ მუშაობის და აღმაშენებლობას დიდი შესაძლებლობანი ეშლება წინ.

რადიო-დეპეშები

ინგლისი პარლამენტის არჩევნების შემდეგ.

— **ინგლისში გამოქვეყნებულ იქნა არჩევნების საბოლოო შედეგები. კონსერვატორებმა მიიღეს 256 მანდატი, მუშათა პარტიამ და კოოპერატორებმა 191, ლიბერალებმა 159, დანარჩენებმა—7.**

მუშათა პარტიის ვიცე-თავმჯდომარემ კრამპმა მიტინგზე განაცხადა: „არ უნდა ვიფიქროთ, რომ მუშათა პარტია მივა რა ძალაუფლებასთან, შესძლებს რევოლიუციონურ პროგრამის განხორციელებას, რადგანაც ამ პროგრამას პარლამენტში არ ეყოლება უმრავლესობა, მაგრამ მუშათა მთავრობა შესძლებს ბევრი რამ სასარგებლო გააკეთოს ქვეყნისათვის.

ლონდონის ორგანიზაციის მუშათა პარტიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მუშათა მთავრობა დაუყონებლივ უნდა შეუდგეს პრაქტიკული ზომების განხორციელებას, რაიც გათვალისწინებულია მუშათა პარტიის პროგრამაში.

უმუშევართა და ყოფილ ომის მონაწილეთადმი დახმარების გაფართოება, მზრუნველობა საბინაო აღმშენებლობაზე, ბაჟების შემცირება სურსათეულზე და სხვა ასეთი ზომები შეიძლება განხორციელებულ იქნას პარლამენტის დღევანდელ შემადგენლობის მიერაც კი ამა თუ იმ პარტიის მიერ მხარის დაჭერით.

„დეილი გერალდი“ აუცილებლად სთვლის მუშათა მთავრობის საჩქაროდ შედგენას, ვინაიდან ნახშირის, რკინის გზის და მანქანების დასამზადებელ სამრეწველოებში მოსალოდნელია მხნვილი კონფლიქტები მუშებსა და დამქირავებელთა შორის. „თუ რომ მუშათა პარტიას ხელში ექნება ძალაუფლება, სწერს გაზეთი, მაშინ კონფლიქტების დროს მუშების მხარეზე იქნება მთავრობა, რაიც არასდროს არ ყოფილა.

არჩევნების შედეგები.

გამოქვეყნებულია არჩევნების საბოლოო შედეგები: კონსერვატორებმა მიიღეს ორას ორმოცდა თექვსმეტი მანდატი, მუშათა პარტიამ კოოპერატორებთან ერთათ 191, ლიბერალებმა 159, დანარჩენმა პარტიებმა —7. ერთ-ერთ ოლქში უნდა მოხდეს ხელახალი არჩევნები, ვინაიდან იქ არჩეული ლიბერალი დეპუტატი უეცრად გარდაიცვალა.

ინგლისი და ინდოეთი.

„მორინგ პოსტის“ კალკუტელი კორესპონდენტი იტყობინება ინდოეთის ვიცე კოროლმა წინადადება მისცა ნაციონალისტების ლიდერს დასუს შეადგინოს ბენგალიის პროვინციის მთავრობა, რადგან ბენგალიის მთავთობაში მყოფ ზომიერ ჯგუფების წარმომადგენლებმა დასტოვეს მთავრობა. დასუმ უარით უპასუხა ვიცე კოროლს და განაცხადა, რომ ნაციონალისტებს არ შეუძლიათ გაუზიარონ ძალაუფლება ინგლისის გუბერნატორს.

ამავე დროს დასი კმაყოფილებას გამოსთქვამს ინგლისის ხელისუფალთა წინსამართით, რომ მათ არ გადაუხვიეს კონსტიტუციას და მთავრობის შესადგენად მიმართეს ინდოეთის უძლიერეს პარტიას.

ნაციონალისტების პარტიულმა კრებამ მოიწონა დასუს პოზიცია და დაადგინა წინააღმდეგობა გაუწიოს ადგილობრივი მთავრობის ყოველგვარ მოქმედებას მანამდე, სანამ ბენგალიის პროვინციას არ მიანიჭებენ თვითმმართველობას.

ჩიჩერინის ნოტის გამო.

ამხ. ჩიჩერინის ნოტა, რომელიც გაეგზავნა პრეზიდენტ კულიჯს გამოაქვეყნეს ლონდონის ყველა გაზეთებმა. „ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი რუსეთის მოთხოვნილებაზე ინტერვენციით მიყენებულ ზარალის ანაზღაურების შესახებ სწერს, რომ მექსიკასა და შეერთებულ შტატების შორის შეთანხმება მიღწეული იქნა განსაკუთრებული კომისიის შექმნით. საურთიერთო პრეტენზიების გამო. შესაძლებელია, რომ რუსეთის საკითხშიაც ამერიკა დაადგება ასეთსავე გზას.

ლიბერალურ ფრაქციების თათბირი.

შესდგა ორივე ლიბერალური ფრაქციების თათბირი შექმნილი მდგომარეობის გამო. გახსნა რა თათბირი ასკვიტმა განაცხადა, რომ ეხლანდელი კრება მოწამე იქნება ორივე ლიბერალური ფრაქციების ურთიერთსადმი სოლიდარული განწყობილების და გაერთიანების, და აღნიშნა, რომ ლიბერალები ეხლა შექმნილი მდგომარეობის ბატონ-პატრონი არიან, რადგან მათზეა დამოკიდებული ყოველგვარი ახლად შედგენილი მთავრობის ბედი. ალბად მუშათა პარტია აიღებს თავის ხელში ახალი კაბინეთის შედგენის პასუხის მგებლობას, თუ მას მიმართავენ ასეთი წინადადებით, რაც ადვილი მოსალოდნელია. თუ ინგლისს, სთქვა ასკვიტმა, უწერია ოდესმე მუშათა მთავრობა, შექმნილი მდგომარეობა მეტის მეტად ხელსაყრელია ამისათვის. ასკვიტმა აღნიშნა, რომ ლიბერალური პარტია მეტის მეტად თავისუფლად გრძნობს თავს და სრულიად არა აქვს განზრახვა შევიდეს სხვა რომელიმე პარტიასთან ფორმალურ კოალიციაში.

შემდეგ გამოვიდა ლოიდჯორჯი, რომელმაც აღნიშნა თავისი სოლიდარობა ასკვიტის პოლიტიკასადმი. თათბირის დადგენილება ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა.

გერმანიის ამბები.

საფრანგეთის პრესა პუანკარეს პასუხის შესახებ.

საფრანგეთის ოფიციალური პრესა და ნაციონალურ ბლოკის პრესა ერთსულოვნად ესალმება პუანკარეს პასუხს გერმანიის წინადადებაზე. „ტანი“ გერმანიის მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, არა დროულად სთვლის გერმანულ მართველობის აღდგენას ოკუპაცია ქმნილ ოლქებში და აღნიშნავს, რომ შტრეზემანის უკანასკნელი სიტყვა ერთობ აძნელებს შესაძლებელ ახალი მოლაპარაკების დაწყებას.

ნაციონალური ბლოკის პრესა აფრთხილებს მთავრობას „ხაფანგისაგან“ რომელიც დაგებულია გერმანიის მთავრობის მიერ, საფრანგეთის მონაწილეობით საერთაშორისო კონფერენციის მიწვევის მიზნით.

საბჭოთა ქვეყნებში

— 19 დეკემბერს სადგურ კავუნის ახლოს ყაჩაღებმა გაძარცვეს მატარებელი. წაღებულია დიდძალი თანხა.

— სადგურ სუპაში საბარგო მატარებელს დაეჯახა ორთქლმავალი. დაიჭრა რამოდენიმე კონდუქტორი.

— 18 დეკემბერს სევასტოპოლს თავს დაატყდა ძლიერი ქუხილი, წვიმა და სეტყვა.

პოლონეთში

— ტუგუტის უარის შემდეგ კაბინეტის შედგენა მიენდო გრაბსკის. რომელსაც უნდა წარედგინა სია პრეზიდენტისთვის ოც დეკემბერს.

— ერთა ლიგის საბჭომ აიძულა პოლონეთი შესწყვიტოს გერმანელ კოლონისტთა გადასახლება.

რადიკალური პრესა უკმაყოფილოა პუანკარეს პასუხით და ბრალს სდებს მას მოლაპარაკების ზედმეტად შემოფარგვლაში.

კარისა და ლოსოვის მოწოდება.

ლოსოვმა და კარმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელიც აღნიშნავს, რომ ზოგიერთი წრეები ურჩევს მთავრობას უკან არ დაიხიონ იარაღის მოხმარების შემთხვევაშიც კი. მოწოდება გამოწვეულია, გავრცელებული ხმების გამო, თითქოს ბავარიის რადიკალები ემზადებოდენ ახალი გამოსვლებისათვის.

ბავარიის რეიხსტაგი.

ბავარიის სასოფლო სამეურნეო კავშირის საგანგებოდ მოწვეულმა ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიდაც მოითხოვენ ბავარიის რეიხსტაგის სასწრაფოდ გაშვების და ვეიმარის კონსტიტუციის შეცვლას ცალკე სახელმწიფოების უფლებათა გაფართოებისათვის. ყრილობაზე გამოვიდა ბავარიის იუსტიციის მინისტრი გერტნერი, რომელმაც აღნიშნაა რომ გერმანიის მძიმე მდგომარეობა გამოწვეულია ბერლინის მთავრობის ფინანსიური პოლიტიკით.

გერმანიის რკინის გზები.

რკინის გზელთა კავშირმა ღია წერილით მიმართა გერმანიის გზათა მინისტრს ეზერს, რომელშიდაც პროტესტს აცხადებენ მინისტრის განზრახვის წინააღმდეგ მოიხმაროს უცხოელი კაპიტალი გერმანიის რკინის გზების მეურნეობის გასაჯანსაღებლად.

პარტიათა მოქმედება.

გერმანიის თავდაცვის მინისტრმა გამოაქვეყნა ცნობა, რომლითაც აკრძალულ პარტიებს ნება ეძლევათ მომავალ არჩევნებისათვის წამოაყენონ კანდიდატთა სიები.

საქსონიის პრემიერ ფელიშმა ლანდტაგის სხდომის დროს განაცხადა, რომ აღკრძალულ პარტიებს ნება ეძლევათ მომავალ მუნიციპალურ არჩევნებისათვის წამოაყენონ თავისი კანდიდატების სიები, ამავე დროს სრულიად გერმანიის თავდაცვის მინისტრის განკარგულებით გენერალ ერმა გაუქმა ოფიციალურად გაშვებულ პარტიებზე საკუთარი კანდიდატთ სიების წამოყენების შესახებ აკრძალვა.

საქსონიის მთავრობა.

საქსონიის ლანდტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ შეაჩერა მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატებთან მთავრობის შედგენას საკითხში და შეიტანა წინადადება ლანდტაგის გაშვების შესახებ.

მუშათა მღელვარება.

ფრეილიხში (საქსონია) მომხდარ ამბების გამო, დაიწყო მუშათა მღელვარებაა რომელშიც (ტიურინგია), სადაც მუშები სცდილობდენ ძალით განეთავისუფლებინათ პოლიტიკური პატიმრები. მუშათა გამოსვლების საპასუხოთ როლი დაკავებული იქნა რეიხსვერის გაძლიერებული ნაწილებით. რეიხსვერის უფროსმა აღკრძალა ყოველგვარი კრებები, ქუჩებში მოძრაობა საღამოს 7 საათიდან დილის 5 საათამდე. ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებებში სდგას გაძლიერებული სადარაჯო რაზმები. კინემატოგრაფები, თეატრები და რესტორანები უნდა იკეტებოდენ საღ. 7 საათზე.

რეიხსბანკი.

მიუხედავად იმისა რომ რეიხსბანკის დირექციამ, რეიხბანკის პრეზიდენტის პოსტზე თავის კანდიდატად წამოაყენა გელფერიხი, სახელმწიფო საბჭომ ხმის უმრავლესობით გაიყვანა შახტა, რომელიც წამოყენებული იყო პრუსიის წარმომადგენლის მიერ.

ვიუტენბერგის წარმომადგენელმა თავი შეიკავა კენჭის ყრის დროს. ბავარიის წარმომადგენელმა ხმა მისცა შახტას კანდიდატურას. ფიქრობენ, რომ რეიხსბანკის ვიცე თავმჯდომარე გლაზენაპი და მთელი რიგი სხვა მოსამსახურეებისა დასტოვებენ სამსახურს.

საფრანგეთთან მოლაპარაკება.

გერმანიის მთავრობა ამზადებს ახალ წინადადებებს საფრანგეთისადმი განაახლონ მოლაპარაკება პუანკარეს პასუხის მიხედვით, გერმანიის მთავრობის პირველ წინადადებაზე.

შტრეზემანთან ახლოს მდგარი პირები ფიქრობენ, რომ პუანკარე უმთავრესად დაინტერესებულია დიუსელდორფის ხელშეკრულების გაგრძელებითა ხელშეკრულების გაგრძელება ბევრათაა დამოკიდებული გერმანიის მთავრობაზე.

დიუსელდორფის ხელშეკრულების მძიმე პირობების გამო, რურის მრეწველებს არ შეუძლიათ უცხოელ ვალების აღება, ხოლო სარენტობანკს ნება არ აქვს გასცეს კრედიტი, გერმანიის მთავრობის მიერ დამტკიცებულ დებულების გამო. ამაზე აშენებს გერმანიის დიპლომატია თავის ანგარიშებს.

დიუსელდორფის ხელშეკრულების გაგრძელების კომპენსაციათ გერმანიის მთავრობა წამოაყენებს მოთხოვნილებას გერმანულ ადმინისტრატიულ მმართველობის ოკუპაცია ქმნილ ოლქებში და დაჟინებით მოითხოვს რურის ოკუპაციის კანონიერების შესახებ საკითხის ხელახლად განხილვას, რადგან რურში შექმნილ მდგომარეობის მოუგვარებლად შეუძლებელი იქნება გამოირკვეს გერმანიისაგან ვალების გადახდის უნარიანობა და შეუძლებელი გახდება სარეპარაციო საკითხის მოგვარება.

გერმანიის მოთხოვნილებები ალბათ შემდეგი იქნებიან: გერმანიის ადმინისტრატიულ მმართველობის აღდგენა ოკუპაციო ქმნილ ოლქებში და მორატორიუმის მინიჭება უცხოელ კრედიტების შესახებ.

გერმანიის წინადადებებში ხაზგასმული იქნება რურის ოკუპაციის უკანონობა.

სტინესის ორგანო ილაშქრებს შტრეზემანის წინააღმდეგ საკითხის ასე მწვავედ დაყენებისათვის მოკავშირეთა სამხედრო კონტროლის გამო და აღნიშნავს, რომ ეს გააძნელებს მოლაპარაკებას.

მძიმე ინდუსტრია უფრო მომხრეა შეთანხმების, ვინემ გერმანიის მთავრობა.

მოსალოდნელ სეფესიტყვისათვის.

„ტაიმსი“ იუწყება, რომ 19 დეკემბერს უნდა შემდგარიყო მთავრობის სხდომა, სადაც უნდა შეემუშავებიათ სეფე სიტყვა ახალი პარლამენტის გახსნის დღისათვის. გაზეთი ფიქრობს, რომ სიტყვის საბოლოოდ შემუშავება საეჭვოა, ვინაიდან პოლიტიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ არის საკმაოდ გარკვეული

ფასები ლონდონში და სამუშაო ქირა.

ფასების სტაბილიზაციის შემდეგ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში, დეკემბერი იძლევა რამოდენიმედ აწეულ ფასებს. დეკემბრის ინდექსი აღწევს 1914 წლის ინდექსის 17 პროცენტამდის; ოქტომბრის და ნოემბრის ინდექსი 175 პროც. ამავე დროს მექანიკურად შეჩერდა რეალურ სამუშაო ქირის ზრდა.

ნოემბერში სამუშაო ქირა 95.000 მუშისათვის შემცირდა საერთო ჯამით 150 გირვანქა სტერლინგამდე კვირაში და მხოლოდ 400.000 მუშისათვის სამუშაო ქირა გაიზარდა 36.000 გირვანქა სტერლინგით. 1923 წლის ანგარიშები გვიჩვენებენ, რომ გრძელდება სამუშაო ქირის შემამცირებელი კამპანია, თუმცა უფრო მცირე მაშტაბით, ვინემ წინა წლებში. 1922 წელში სამუშაო ქირა შემცირებულ იქნა 7.500.000 მუშაზე 4.200.000 გირვანქა სტერლინგამდე კვირაში (საერთო ჯამით).

განცხადება.

თბილისის გარნიზონში ზურგის უკან მდგომ ქართულ ნაწილებში მომუშავე პარტ-ამხანაგები, რომლებიც არ გატარებულა პარტ-გამოცდებში ვალდებულია გამოცხადდენ 25 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე პოლიტ-განყოფილებაში გამოსაცდელად.

ცენტრალური გამომცდელი კომისია.

მონარქიის დამხობა საბერძნეთში.

საბერძნეთის მიმდინარე არჩევნებმა ბრწყინვალე გამარჯვება არგუნეს რესპუბლიკანელებს. ვენიზელოსის მომხრეებმა სასტიკად დაამარცხეს მონარქისტები. უკანასკნელ ცნობების მიხედვით მეფე გამგზავრებას აპირებს საბერძნეთიდან. მეფის გადადგომის შემდეგ საბერძნეთში გამოცხადდება რესპუბლიკანური წესწყობილება.

როგორც სჩანს რესპუბლიკის გამოცხადება საბერძნეთში რამოდენიმე დღის საკითხია. ოქტომბრის აჯანყებაში დამარცხებულ მონარქისტებმა საბოლაოდ დაკარგეს ყოველგვარი გავლენა საბერძნეთის ხალხში. საბერძნეთის ხალხმა პირი იბრუნა მონარქიისაგან და რესპუბლიკას მიაპყრო მთელი თავისი გულისყური. საბერძნეთის მეფის ტახტი 1917 წლიდან მეოთხეჯერ დაცარიელდა. ბერძნები მოელიან ვენიზელოსის დაბრუნებას, რომელიც რამოდენიმე ხნის უკან წავიდა საბერძნეთიდან, როგორც შეურიგებელმა მტერმა მეფის ტახტისამ.

რესპუბლიკანელების გამარჯვებას ხელი შეუწყო საბერძნეთის მდგომარეობამ. იმ უბედურებაში, რომელიც დაატყდა საბერძნეთს ოსმალეთთან ომის გამო, დამნაშაული მონარქისტებს მიუძღვის. გასულ წლის შემოდგომაზე საბერძნეთში მოხდა გადატრიალება. ძველი მთავრობა პასუხისგებაში მისცა „რევოლიუციის კომიტეტმა“ და დასაჯა მისი შემადგენლობა. ახალმა მთავრობამ „რევოლიუციის კომიტეტმა“ ჩაიგდო ძალა-უფლება, მაგრამ მან მაშინ ვერ გაბედა მონარქიის დამხობა და რესპუბლიკის გამოცხადება. ამისათვის დაუცადა ხელსაყრელ მომენტს. დღეს კი ასეთი დრო დაუდგათ ვენიზელოსის მიმდევრებს და რესპუბლიკანელებს. იმათმა არც დააყოვნეს და რესპუბლიკის გამოცხადება დღის წესრიგში დასვეს.

რა შედეგი შეიძლება მოყვეს საბერძნეთის რესპუბლიკად გამოცხადებას, აი მთავარი საკითხი საბერძნეთის მდგომარეობასთან დაკავშირებული. უმთავრესი მტრები საბერძნეთის ამ შემთხვევაში არიან რუმინეთი და სამხრეთ სლავია. ამ სახელმწიფოებს ძველი ანგარიშები აქვს საბერძნეთიდან- და შეიძლება, რომ რესპუბლიკის გამოცხადება გახდეს ანგარიშების გასწორების დაწყების დროთ. ზოგიერთ ცნობებით რუმინეთი და სამხრეთ-სლავია საფრანგეთთან ერთად ულტიმატუმს წარუდგენენ საბერძნეთის მეფის ტახტის დამხობისთანავე. აგრეთვე დასძენენ რომ მოსალოდნელია რუმინეთმა და სამხრეთ-სლავიამ ჯარები დასძრან საბერძნეთის წინააღმდეგ მონარქიის აღსადგენად. გამართლდება თუ არა გაზეთების მოსაზრება, ძნელია ამის თქმა. ყოველ შემთხვევაში ბალკანეთში მოსალოდნელია ახალ ომების გაჩაღება.

თუ ეს მოხდა, კაცობრიობას ახალი უბედურება დაატყდება თავს. საბერძნეთის და ბალკანეთის სახელმწიფოების კომ. პარტიები უნდა აღუდგენ წინ ბურჟუაზიის იმპერიალისტურ ზრახვებს და მშრომელი ხალხი დარაზმონ ომის წინააღმდეგ.

ალ.

„ახალი“ ტონი პუანკარეს პოლიტიკაში.

ამ ბოლო ხანებში საფრანგეთსა და გერმანიის შორის დამოკიდებულებამ მშვიდობიანი ხასიათის ფორმა მიიღო.

პუანკარეს მთავრობამ გერმანიის მომართვაზე მოლაპარაკების განახლების შესახებ თანხმობა განაცხადა.

უნებურად ისმება საკითხი: რა მოხდა? რამ აიძულა ომის და სისხლის ღვრის მოყვარე პუანკარე მოლაპარაკების გზით გადაჭრას გერმანიასთან ყველა სადავო კითხვები. ამის მიზეზები ჩვენ უნდა ვეძიოთ იმ მდგომარეობაში, რომელიც შეიქმნა ამ უკანასკნელი კვირების განმავლობაში ევროპაში.

ინგლისის არჩევნების შედეგებმა თავზარი დასცა საფრანგეთის გაუმაძღარ იმპერიალისტებს. კონსერვატორების დამარცხებით ინგლისში, დამოკიდებულება ამ უკანასკნელის საფრანგეთთან სრულიად იცვლება.

მომავალი ინგლისის მთავრობა, იქნება ის მუშათა პარტიისაგან შემდგარი თუ ლიბერალებისაგან, სულ სხვა პოზიციას დაიჭერს საფრანგეთისადმი და არავითარ შემთხვევაში მას მხარს არ დაუჭერს იმ მტაცებლურ და აგრესიულ პოლიტიკაში, რომელსაც დღემდის ატარებდა ევროპის კონტინენტზე საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზია ბალდვინის თანხმობით. ცხადია ამ გარემოებისათვის საფრანგეთის მთავრობას უნდა გაეწია ანგარიში.

მეორედ მოახლოვდა საფრანგეთის პარლამენტების არჩევნები. ეს გარემოება მეტად აფიქრებს პუანკარეს და მის თანამოძმეებს. საჭიროა ეხლავე მზადება საპარლამენტო არჩევნებისათვის. პუანკარეს მეტად აშინებს ინგლისის არჩევნების მაგალითი. ამიტომაც ის გაფაციცებით სცდილობს მოამზადოს სათანადო პირობები ეროვნული პარტიის გამარჯვებისთვის, რომლის სულის ჩამდგმელი ის თვითონ არის.

მთელი პოლიტიკა პუანკარეს მთავრობისა ემსახურება საფრანგეთის მსხვილი მტაცებლური ბურჟუაზიის ინტერესებს. საფრანგეთის მშრომელმა მასამ პუანკარეს ბატონობის განმავლობაში იგემა მხოლოდ ცხოვრების პირობების გაუარესება და შევიწროება.

იცის რა ასეთი განწყობილება მოსახლეობის ფართე ფენების, პუანკარე თავისი „ახალი“ პოლიტიკით სცდილობს მოაჩვენოს თავი საფრანგეთის მშრომელ ხალხს, მთელი ხალხის ინტერესების დამცველ მთავრობათ. არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია საფრანგეთის პოლიტიკის შეცვლა.

ეს თვით გერმანიის ეხლანდელი მდგომარეობა.

ამ ჟამად გერმანიის მთავრობა წარმოადგენ მსხვილი ბურჟუაზიის ძალა-უფლებას, რომელსაც სურს დაუყონებლივ შეუთანხმდეს საფრანგეთის ბურჟუაზიას და სარეპარაციო ხარჯების მთელი სიმძიმე დაადვას კისერზე მუშათა კლასს.

გერმანიის ბურჟუაზიის ასეთი გეგმის წინააღმდეგ, რასაკვირველია, არც საფრანგეთის მთავრობაა და ამიტომაც ის თანახმაა დაიწყოს მოლაპარაკება.

მაგრამ პუანკარე ერთ წუთსაც არ დაუშვებს იმ აზრს, რომ რაიმე შესწორება იქნას შეტანილი ვერსალის ხელშეკრულებაში, რომლის რეალიზაციას საფრანგეთ-გერმანიის ბურჟუაზია სცდილობს გერმანიის მუშათა კლასის ზურგის საშუალებით.

ასე თუ ისე პუანკარეს „ახალი“ პოლიტიკა ნიშნავს იმ ვე ძველ პოლიტიკას; მას სურს წვადიც შეიწვას და შამფურიც არ დაიწვას.

მას სურს ვერსალის ხელშეკრულების სრული რეალიზაცია და სოციალისტური რევოლიუციის საფრთხის აცილება, არსებული კრიზისის გადალახვა. მაგრამ შესძლებს ამას საფრანგეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია? იმ პირობაში თუ უარს იტყვის ვერსალის ხელშეკრულებაზე, იმ შემთხვევაში თუ ის თავს დაანებებს იმპერიალისტურ მტაცებლურ პოლიტიკას. ეს კი შეუძლებელია.

ვერსალის ხელშეკრულება საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის არის უზენაესი სათაყვანებელი კერპი, რომლისთვისაც ის მზადაა შესწიროს არა მარტო გერმანიის მუშათა კლასის სიცოცხლე, არამედ საფრანგეთის პროლეტარიატის კეთილდღეობაც.

ამიტომაც გერმანიის და საფრანგეთის პროლეტარიატის გადაუდებელ ამოცანას შეადგენს შეიარაღებული ხელით დაამსხვრიოს ეს კერპი და ბოლო მოუღოს მის ერთგულ მსახურთა თარეშს.

დე.

ჩვენს წითელ ჯარში

2-რე ლეგიონში

შაბათს 15 დეკემბერს ლეგიონის კლუბში მოხდა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის გმირის „სპირიდონ მცირიშვილის“ გასამართლება, რომელსაც დაესწრო უმრავლესობა ლეგიონრებისა.

დამსწრე საზოგადოებაზე წინ და წინვე გაცნობილი იქმნა მოთხრობის სიუჟეტი. ნაფიცი მსაჯულები 10 კაციდგან შემდგარი ამორჩეული იქმნა დამსწრე წითელ-არმიელთა მიერ.

ბრალმდებელათ გამოვიდნენ ამხ. თოდრია და ქაავა, დამცველებათ ამხ. ჭკადუა და კუპუხიძე.

ყველა მონაწილეებს ეჩნეოდა საუცხოვო მომზადება და „სპირიდონ მცირიშვილი“-ს კარგად შესწავლა და ღრმა დაკვირება ყოველივე მხრით. მოწინააღმდეგები სასტიკად შეეჯახენ ერთი მეორეს; ძნელი იყო იმის თქმა, თუ სასწორი გამარჯვებისა ვისკენ გადიხრებოდა. მოწინააღმდეგებს მოჰყავდათ თავის აზრის დასამტკიცებლად სხვა და სხვა მაგალითები და უცხოეთის მწერლების აზრი. დამსწრე საზოგადოებაში ნათლად სჩანდა, რომ ყველას სურდა სპირიდონ მცირიშვილის, ცხოვრების უხეში ძალის მსხვერპლის გამართლება.

კამათი და სასამართლო გაგრძელდა 3 საათს. სასამართლომ შესწყვიტა სხდომა განაჩენის გამოსატანათ. დამსწრეებს ეტყობათ მოუთმენლობა. ყველა გულის ფანცქალით ელის სასამართლოს სწორ განაჩენს. კლუბის დარბაზში შეჯგუფებული წითელ-არმიელები ერთმანეთს უზიარებენ თავის აზრს და ამბობენ, რომ ბრალმდებლების მიერ საუცხოვოთ იყო წაყენებული ბრალდება მცირიშვილზე, რომელიც გამოვიდა უორგანიზაციოთ. მას უნდა მოეწყო მტკიცე ორგანიზაცია გლეხებში რომ მოეკლა არა ერთი ტარიელ მკლავაძე, არამედ მრავალი ტარიელისებურები, რომ მით გაენთავისუფლებია გლეხები მაშინდელ კლავაძეებისაგანო.

ყველა იგონებს დამხობილ მთავრობის კანონების უსამართლოებას და წარსულ გლეხის ცხოვრებას დღევანდელს ადარებს. ბოლოს გაისმა ზარის ხმა და სასამართლოს თავმჯდომარემ მოუწოდა დამსწრეთ სასამართლოს განაჩენის დადგენილების მოსასმენად.

სასამართლოს მიერ ერთხმად გამართლებულ იქნა სპირიდონ მცირიშვილი. ყველას სიამოვნების ღიმმა გადაჰკრა. სასამართლოს თავმჯდომარის სიტყვა მქუხარე ტაშმა დაჰფარა.

სამხკორი პ. **გუჯაბიძე.**

საერთო კრება.

ა, წ. დეკემბრის 12 შესდგა უმცრ. მეთ. მოსამზადებელ სკოლის კურსანტების და უფ-ად სამ-მედ-პოლიტ-შემადგენლობის საერთო კრება.

— დღის წესრიგში იყო: 1. კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, 2. მოხსენება სამკითხველოს მუშაობის შესახებ, 3. კოოპერატივის მუშაობა, 4. საკანტროლო კომისიის მუშაობა 5. კურსანტების გამოშვება, 6. პარტიაში მიღებულ პირების განცხადების განხილვა ⁊ 7. მიმდინარე კითხვები.

1-ლ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკოლის სამხ. კომისარმა ამხ. დონაძემ, რომელმაც გააშუქა სოფლის და ქალაქის დამოკიდებულება, აღნიშნა სოფლის ნაწარმოების სიაფე და ქალაქის ნაწარმოების სიძვირე. აგრეთვე აღნიშნა ის გზა, რომელსაც ადგია საბჭოთა ხელისუფლება სოფლის აღდგენის საქმეში. მოხსენება გასაგები და შინაარსიანი იყო.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ბიბ. გამგემ ამხ. ლორთქიფანიძემ; მოხსენებიდგან სჩანს, რომ საქმე კარგათ ყოფილა დაყენებული, მაგრამ უკანასკნელად შეფერხდა, რადგან სამკითხველო-ბიბლიოთეკის დარბაზი, სადაც სწარმოებდა პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა ჩამორთმეული იქნა. მუშაობა ჩათვლილ იქნა დამაკმაყოფილებლათ.

მესამე საკითხზე ილაპარაკა ამხ. დონაძემ, რომელმაც აღნიშნა კოოპერატივის საქმეების ანგრევა, სამი ჩერვონცის დაკარგვა და სხვ. რაც აიხსნება კოოპერატივის გამგის საქმისადმი გულგრილად მოპყრობით. ამავე საკითხის გარშემო ილაპარაკა კოოპერატივის ინსტრუქტორმა ამხ. კალანდაძემ, რომელმაც გააშუქა კოოპერაციის სახე და მოვალეობა. შემდეგ ვართანოვის მაგიერათ გამგეთ არჩეულ იქნა სხვა ამხანაგი. საერთო კრება ვართანოვს უცხადებს საყვედურს და აძლევს წინადადებას შეიტანოს დაკლებული ფული, მის მაგიერ კი არჩეულ იქნა ერთხმათ ამხ. გორგობიანი.

საკანტროლო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს კურსანტი ახალკაცი, რომლის გარშემო იყო აზრთა გაცვლა გამოცვლა.

კურსანტების გამოშვებისა და მათი მოვალეობის შესახებ ილაპარაკა სამხკომმა დონაძემ.

წაკითხულ იქნა განცხადებები კოპალეიშვილის, ჭიბალაშვილის, თანდილაშვილის პარტიაში მიღების შესახებ. კრება აცხადებს, რომ მათ შესახებ ცუდი არაფერი არ იცის.

მიმდინარე საკითხებში იყო განცხადება საკანტ. კომ. წევრის ამხ. ჭიბალაშვილის მოვალეობიდან განთავისუფლების შესახებ. დაადგინეს: ვინაიდან გამოშვება მოხდება, მალე იქნებ დარჩეს მანამდე.

გ. ც.

№ ასეულში.

16 დეკემბერი.

კვირა დილაა.

მზე შემოსცინის ჩვენს ყაზარმას, მოლაშქრენი ისვენებენ.

— რაღაც უსაქმოდ ვერა ვძლებ. ეს გაზეთები რაღას იგვიანებს?—ამბობს ერთი წითელ-არმიელი და გაჰყურებს ალაყაფის კარს.

— რამდენი ხანია წავიდა მოსატანად ჩვენი ბიბლიოთეკის გამგე და სადაა აქამდის?

შეჰყურებენ კედლის გაზეთის ცარიელ დაფას.

— მიშა, რა იქნა ჩვენი კედლის გაზეთი? იმაზე მაინც გაართობდა კაცი გულს.

— გაზეთი, ამხანაგო, კონკურსზეა წარდგენილი.

და უწყებს ახსნა-განმარტებას კონკურსის შესახებ.

— მერე და იმ ერთ გაზეთზე ხომ არ უნდა შევჩერდეთ. ვითომ რა იქნება, რომ ყოველ კვირა გამოდიოდეს. აი იმდენი მასალა მაქვს, რომ...

— რა ვიცი, ჰკითხე ჩვენს საგამომცემლო კოლეგიას, რატომ აგვიანებს!..

— ეგენი შევახუროთ ერთი კარგათ, ჯიბეში რო ჩაუწყვიათ ხელები და დასეირნობენ.

ისე შეეჩვიენ ჩვენი არმიელები კედლის გაზეთს, რომ ვერა სძლებენ უიმისოდ.

გულ-დაწყვეტილნი ჩამოსხდენ კედელზე „წითელ-არმიელის“ მოლოდინში და... გაისმა ნელი სიმღერა.

— „შენგან დაკარგულ საყურეს, ბალახებს შორის ვეძებდი“...

ბიბლიოთეკის გამგე გამოჩნდა გაზეთებით.

შემოეხვივნენ. სტაცებენ გაზეთებს.

— ამხანაგებო, ასე ვერ მოგცემთ, ხომ იცით თვლითა მაქვს. წამოდით და სამკითხველოში მოგცემთ, ხელი მოაწერეთ.—ეუბნება ჩვენი წყნარი და თავის საქმის კარგად მცოდნე ბიბგამგე.

ერთმა მაინც გამოსტაცა და დაიწყო ხმა-მაღლა კითხვა:

— „სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისათვის“...

შემოეხვივნენ. ყველა გაფაციცებით უგდებს ყურს.

— დეპეშები წაიკითხე, ერთი და ვნახოთ რა მოსდით იმ ბითურ ანტანტელებს.—ჰირვეულობს კოლია.

წითელ არმიელები გულდასმით ისმენენ წაკითხულს.

ყველა კმაყოფილი და მხიარულია.

გაზ. „წითელ-არმიელს“ ისე შეესისხლხორცენ ჩვენი მოლაშქრეები, რომ, არც ერთ სხვა გაზეთს ისე არ აქცევენ ყურადღებას.

პეტია.

ტანვარჯიშობის მიზანი ტერიტორიალურ ჯარში.

ადამიანის ფიზიკურ თვისებათა განვითარებაში ტანვარჯიშობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მას, როგორც ცალკე საგანს, ყოველ აღზრდა-განმანათლებელ ორგანიზაციაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი. ჯარში ტანვარჯიშობას თავის განსაკუთრებული დანიშნულება და მიზანი უნდა ჰქონდეს დასახული. ეს საკითხი მეტად სერიოზულია და საჭიროა ძალიან ფრთხილად შევეხოთ მას. ჩვენი გაზეთის № 400-ში ამხ. გიტომ თავის წერილში „ტანვარჯიშობა ტერიტორიალურ ჯარში“ წამოაყენა ეს საკითხი. ამხანაგი დასაწყისში სწორად აშუქებს ტანვარჯიშობის მნიშვნელობას ამხანაგურ გრძნობის გამტკიცებაში, და საჭიროდ სთვლის ტერიტორიალურ ჯარში, როგორც ტანვარჯიშობის, ისე ჯომარდობის გავრცელებას.

გამოვარკვიოთ ის პირობები, რომელშიაც ტანვარჯიშობის სწავლება იქნება ჩაყენებული ტერიტორიალურ ჯარში. მოგეხსენებათ, რომ ტერიტორიალურ ჯარში გაწვეულნი მოქალაქენი ძალიან მოკლე ვადით დაჰყოფენ ნაწილებში და ამ მცირე დროში მათ უნდა შეითვისონ სამხედრო ხელოვნება, რაც ამ ჟამად მეტად ძნელი იქნება შესათვისებლად საბრძოლ საშუალებითა სიმრავლისა და სირთულის მიზეზით. ნაწილებში სწავლების ყოველი წუთი უნდა სასტიკად იყოს განსაზღვრული, ყველაფერი უნდა იქმნეს მიღებული მხედველობაში და დროს განაწილება მიზანშეწონილი. არც ერთი წუთი გაწვეულმა ტყუილა-უბრალოდ არ უნდა დაჰკარგოს და ორი თვის განმავლობაში იგი უნდა ისეთ პირობებში იყოს ჩაყენებული, რომ მოკლე ხანში მიიღოს რაც შეიძლება მეტი ცოდნა. ამისთვის საჭიროა იგი არ იყოს დატვირთული ზედმეტ საგნებით და უმთავრესად დათმობილი ჰქონდეს ადგილი იმას, რაც დასახულ მიზნისათვის საჭიროა. ტერიტორიალურ ჯარში სწავლების უმთავრესი მიზანი იქნება: ყოველ სამხედრო-ვალდებულ მოქალაქეს მიეწოდოს ყველა ის, რაც მას სამხედრო საქმისათვის გამოადგება და ამ დარგში მას წინ წასწევს, რაც მას გამოჰკაჟავს და მოამზადებს ომიანობის შემთხვევაში სამოქმედოთ. ზევით აღნიშნულ წერილის ავტორს არ მიუღია მხედველობაში ის მცირე დრო, რაიც მოუხდება ნაწილებში ყოფნა სამხედროვალდებულთ და წერილის ბოლოში დასძენს: „ტერიტორიალურ დივიზიის მოქმედება ნახევრად მაინც, მეტი თუ არა, ჯომარდობის დარგში უნდა იყვეს.“

საკითხის ამ გვარი დაყენება ჰგულისხმობს არა სამხედრო დარგში მომზადებას, არამედ ჯომარდობის გამეფებას. საბჭოთა რესპუბლიკებს ჯამაზები კი არა სჭირიად, არამედ მეომარნი.იმასა რასაც ამხ. გიტო საჭიროდ სთვლის, ცოტად თუ ბევრად, ისიც დიდის გაჭირვებით, შეიძლება ჰქონდეს ადგილი პირველ დაწყებით სკოლებში, მხოლოდ მაინც კიდევ იქაც ტანვარჯიშობის სამხედრო ხასიათი უნდა ჰქონდეს და მის მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. ამას მოითხოვს მუდმივ ჯარის სისტემის ლაშქროსან (მილიციონურ) სისტემით შეცვლა. შვეიცარიაში მრავალ წლების გამოცდის შემდეგ უარყოფილ იქმნა სკოლებში ჯომარდობის ჯამბაზური ხასიათი. იქ სკოლებისათვის. გამომუშავებულია სახელმძღვანელო, რომლის მთავარი აზრია: ბავშვის კუნთების გამაგრება და ვარჯიშობის სწავლება, რაიც მას სამხედრო სამსახურში გამოადგება; იგი ჰიმნასტათ არ უნდა გამოიქნეს, რის გამო სატანვარჯიშო მრავალი მანქანა უარყოფილ იქმნა და უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს დაბრკოლებათა დაძლევის უნარის გავითარებას.

სწორედ ჩვენ ტერიტორიალურ ჯარში ეს აზრი უნდა იყოს გავითარებული და გაბატონებული და „სპარტაკის“ ინსტრუქტორები კარგს იზამენ, თუ გამოიმუშავებენ ტანვარჯიშობის ისეთ სახელმძღვანელოს, რომელიც გამოადგება ჩვენ ახალგაზრდობას ომიანობის პირობებში შეხვედრილ დაბრკოლებათა დაძლევის უნარის გავითარების საქმეში.

გ. ბარნაბიშვილი.

და მიხარია...

და დღეს ჩემს სულში იცინის დროშა,
სული იცინის იმღერის გული,
ქუჩები ცეცხლის დღეს სამოთხეა
მან დამავიწყა ტანჯვა წარსული.

მიხარია და ცხოვრების ღელვას..
გადავექსოვე ბრძოლის ფერხულში,
მინდა ბრძოლა ⁊ ცეცხლის სიმღერით
სისხლიან დროშებს ვიხუტებ გულში.

გოგიტო ციმბირელი.

ახალი ამბები

ქართულ დივიზიაში.

22 დეკემბერს 1-ლ ლეგიონში დანიშნულია სანიმუშო გაკვეთილი კომპლექტიური მეთოდით. სამხედრო ნაწილ. მყოფ მასწავლებელთათვის დასწრება სავალდებულოა.

მასწავლებელთა კრება.

კვირას გაიმართება თფილისში გარნიზონის სამხედრო მასწავლებელთა საერთო კრება.

წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ქართულ დივიზიაში.

საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავისთვის მოხდება წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოხდენილ წითელ-არმიელთა გამოშვება.

დახმარება ინვალიდებს.

თელავის მაზრაში აყვანილ იქნა აღრიცხვაზე 105 ომის ინვალიდი, რომელთაც დახმარება აღმოეჩინათ სასოფლო სამეურნეო მუშაობით და ფულით.

შობის დღესასწაული.

საქ. შრომის კომისარიატის აგვისტოს დადგენილების თანახმათ 25 და 26 დეკემბერი (შობა) უქმე დღეებია.

დანიშვნა.

საქ. შრ. კომისარიატმა თავის რწმუნებულის მოადგილეთ აჭარაში და ბათომის შრომის ბირჟის გამგეთ დანიშნა ამხ. ნ. ნასყიდაშვილი.

საექიმო იარაღები.

საზღვარ გარეთიდან დაბრუნებულმა ექიმმა მუსხელიშვილმა და მუხაძემ ჩამოიტანეს საექიმო ხელსაწყო იარაღები.

დებულება.

საზოგადოებ. საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტებისა.

მუხ. 1 მიზნები და ამოცანები საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების კომიტეტებისა.

§—1 სხვა და სხვა მხრივი დახმარების აღმოსაჩენად გაჭირვებაში ჩავარდნილ გლეხკაცობისათვის, მის თვითმოქმედების საფუძველზე, ყველა სოფლებში, თემებში, მაზრებში და საერთო რესპუბლიკის მასშტაბში არსდება საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტები (სოფლის, თემის, მაზრის და ცენტრალური).

§—2. საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტებს ევალებათ:

ა) თავ-თავის დროზე მატერიალური და შრომით დახმარება მათ მოქმედების რაიონში მცხოვრებ ქვრივ ობლების, ავადმყოფების ინვალიდების, დასახიჩრებულ ჯარის კაცების, მოკლულ და დახოცილ სამხედრო პირების და წითელ არმიელების ოჯახების და სხვა გლეხკაცობის, რომელნიც საჭიროებენ დახმარებას.

ბ) დახმარების გაწევა გლეხებისათვის ბუნებრივ და სოციალურ უბედურობის დროს (ცეცხლის გაჩენის, წყალდიდობის, საქონლის ჭირის, ბანდიტიზმის, დასეტყვის, ომით განადგურების და სხვა დროს).

გ) ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა სამეურნეო და უფლებრივი ინტერესების დაცვაში სუსტ გლეხკაცობისათვის (წითელ არმიელთა ოჯახებს, ინვალიდებს და სხვ.).

დ) დახმარების აღმოჩენა სახელმწიფო ორგანოებისათვის სოფლის ტერიტორიაზე ან რაიონში მომქ-

მედ სოციალურ დახმარების კომიტეტების დაწესებულების მოწყობა მომართვაში. (ინვალიდების სახლებისა, საავადმყოფოების, შკოლების, ბავშვთა სახლების და სხვა).

მუხ. 2 უფლებები საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტებისა.

§—3. დაკისრებულ მოვალეობის შესასრულებლად, საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტებს ეძლევათ შემდეგი უფლებები:

ა) გლეხთა სავალდებულო თვითდაბეგვრის გატარებისა.

ბ) გადასახადის შეკრება და კოოპერაციის საშუალებით ან უშუალოდ საქონლის გაცვლა გამოცვლის დროს გადარიცხვის დაწესება.

გ) განაწილება სახელმწიფოს ორგანოების მიერ დასახული მიზნების მისაღწევად მიცემული ფულის, სანოვაგის და სხვა მოთხოვნილების საგნებისა.

დ) მოწყობა გაჭირვებულთათვის საზოგადო შრომით დახმარებისა.

ე) მოწყობა სოციალურ უზრუნველყოფის ყოველგვარი დაწესებულების და შუამდგომლობის აღძვრა ამისათვის საჭირო, როგორც ფულის, აგრეთვე ნატურალური თანხების გაღების შესახებ. თვალყურის დევნა ამ უწყებებში შრომის პრინციპების გატარებაზე.

ვ) თვალყურის დევნა თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა მიერ კანონების, დადგენილებების და სოციალურ უზრუნველყოფის საბჭოთა ხელისუფლების განკარგულების აღსრულებაზე და სასამართლოთი დევნის აღძვრა მათ დარღვევაში დამნაშავეთა წინააღმდეგ.

ზ) ხელშეკრულების დადება სხვა და სხვა ორგანიზაციებთან ან კერძო პირებთან.

თ) დათესვა საურთიერთო დახმარების ფონდის სასარგებლოდ სახელმწიფო ფონდიდან დათმობილი მიწებისა.

ი) იჯარით აღება და საკუთრად შეძენა სამრეწველო ან სხვა სასარგებლო წარმოებისა (წისქვილის, ზეთის კარხნის და სხვა).

კ) რესპუბლიკის კანონებით დაშვებული წესით სხვა და სხვა ზომების მიღება კომიტეტის მოქმედების განსავითარებლად.

§—4. საზოგადოებრივი საურთიერთო გლეხთა კომიტ., როგორც ფართე მშრომელ გლეხთა ორგანიზაციები, ამავე დროს ითვლებიან საერთო სახელმწიფოებრივი სოციალურ უზრუნველყოფის აპარატის განუყოფელ ორგანიულ ნაწილად სოციალ უზრუნველყოფის კომისარიატის პიროვნებაში, რომლის კონტროლ ქვეშაც იმდინარეობს საზოგადოებრივი საურთიერთო გლეხთა კომიტეტების მთელი მუშაობა.

მუხ. 3. წესი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების ფონდის შექმნის და ხარჯვისა.

§—5. საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების ფონდი, გაჭირვებულ გლეხთათვის ნივთიერ დახმარების გასაწევად შექმნილი, შესდგება:

ა) თვითდაბეგვრის გზით ყველა გლეხკაცების მიერ შეტანილ თანხიდან.

ბ) გადასახადის შეუტანლობის გამო გადახდილ ჯარიმებიდან

გ) სოფელში არსებული უპატრონო, ბეითალმანი ან სასამართლოთი ჩამორთმეული ქონების შემოსავლიდან.

დ) კომიტეტების მიერ მოწყობილი წარმოებიდან ან კომიტეტის ფონდის სასარგებლოდ დათესილი მიწის მოსავლიდან მიღებული თანხიდან.

ე) კომიტეტების დასახმარებლად მთავრობის მიერ გაღებული თანხიდან.

ვ) თვითეულ მოქალაქის ან დაწესებულებების მიერ ნებაყოფლობითი შემოწირულებიდან და

ზ) სხვა შემთხვევითი შემოსავლიდან.

§—6. გლეხების დაბეგვრა კომიტეტების ფონდის სასარგებლოდ ხდება სოფლის გლეხთა საერთო ყრილობის დადგენილებით. ყრილობა არდგენს ბეგარის რაოდენობას, შეკრების წესს და შემდგარი ფონდისათვის დანიშნულების მიცემას. ეს დადგენილება სავალდებულოა ამ კომიტეტების ყველა გლეხებისათვის. ამასთანავე სავალდებულო ბეგარა ყრილობის მიერ შეიძლება შემცირებულ იქმნას ღარიბ გლეხებისათვის და გადიდებული შეძლებულთათვის.

§—7. იმ შემთხვევაში, თუ ზოგიერთი გლეხები უარს განაცხადებენ დაკისრებულ გადასახადის შეტანაზე, ამ პირებს კომიტეტები აძლევენ პასუხისგებაში, ხოლო ჯარიმის ზომად შეიძლება მიღებულ იქმნას გადასახადის ერთი ორად ან სამად გადახდევინება. (შავ დაფაზე შეტანა, საზოგადოებრივი დახმარებას მოკლება, და დაკისრებული თანხის გადახდევინება თუნდა საბჭოთა ადმინისტრაციის საშუალებით).

§—8. გლეხთა კომიტეტების ფონდი განიყოფება სათადარიგო და დახმარების ფონდებად. სათადარიგო ფონდი მიდის გლეხთა დასაკმაყოფილებლად სტიქიურ უბედურობის მოვლენის დროს, დახმარების ფონდი მიდის გლეხთა დახმარებაზე მიმდინარე საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

§—9. გლეხთა კომიტეტების ფონდი იხარჯება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელიც მტკიცდება სოფლის კომიტეტებისათვის საზოგადო ყრილობის მიერ. თემის და მაზრის კომიტეტების ხარჯთაღრიცხვა მტკიცდება უმაღლეს კომიტეტების მიერ. (მაზრის და ცენტრალური). ბოლო ცენტრალური კომიტეტების ხარჯთაღრიცხვა მტკიცდება სრულიად რესპუბლიკის ყრილობის მიერ.

მუხ. 4 საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების არჩევის წესი:

§ 10. საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტები ირჩევიან მთელი სოფლის გლეხთა საზოგადო ყრილობის მიერ. თემის საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტები შესდგებიან ორ-ორი წარმომადგენელი და თითო კანდიდატისაგან თვითეულ სოფლის საზოგადო ყრილობიდან. მაზრის საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების კომიტეტები შესდგებიან თვითეულ თემის თითო წარმომადგენელისგან და მის კანდიდატისაგან და ცენტრალური საზოგადოებრივი საურთიეროო დახმარების კომიტეტი ირჩევა სრულიად საქართველოს საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების ყრილობაზე.

კომიტეტები ირჩევიან 6 თვის ვადით.

შენიშვნა: 1) სრულიად საქართველოს გლეხთა კომიტეტების ყრილობის მოწვევის წესი განმარტებულია ს. ს. ს. რ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ინსტრუქციით. 2) პატარა და ერთმანეთთან ახლოს მდებარე სოფლებმა უნდა შეადგინონ ერთი საერთო საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტები.

§ -11. სოფლის გლეხთა კომიტეტების წევრთა რაოდენობას არკვევს სოფლის გლეხთა საერთო ყრილობა, ხოლო მასში უნდა იყოს არა ნაკლები ხუთი წევრისა და ორი კანდიდატისა. სოფლის კომიტეტების წევრთა რიცხვში უსათოდ უნდა შედიოდენ წითელ არმიელების ოჯახიდან და ომის ინვალიდებიდან, თუ ამისთანეები მოიპოვებიან სოფელში. კომიტეტებში წევრების და კანდიდატების არჩევა სწარმოებს ახდილი კენჭის ყრით და უბრალო ხმის უმეტესობით.

მუხ. 5. შინაგანი მშენებლობა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტებისა:

§ —12. საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტები შესდგებიან პლენუმი და პრეზიდიუმისაგან. სოფლის კომიტეტების პლენუმი ახდენს ორ კვირაში ერთ კრებაზე არა ნაკლებს და მაზრის და ცენტრალური კომიტეტები ახდენენ ერთ თვეში ერთ კრებაზე არა ნაკლებს.

§—13. სოფლის გლეხთა კომიტეტების პლენუმი მსჯელობს იმ საკითხების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სოფელში სოციალურ დახმარებასთან. ისმენს პრეზიდიუმის ანგარიშებს დადგენილებების შესრულების შესახებ, გამოაქვს დადგენილებები სოფლის გლეხთა ყრილობის მოწვევის შესახებ განსაკუთრებითი მნიშვნელობის საკითხებზე მოსალაპარაკებლად. (თვითდაბეგვრა, დახმარება სტიქიურ უბედურობის დროს, კვირეულობის მოწყობა გაჭირვებულთათვის სამეურნეო დახმარების აღმოსაჩენად, კომიტეტების ხელახალ ასარჩევად და სხვა).

§—14, თემის, მაზრის და ცენტრალური კომიტეტების პლენუმები ხელმძღვანელობას უწევდენ გლეხთა კომიტეტების მუშაობას მათ მოქმედების რაიონში და შეაქვთ მასში ერთობ და მიზანშეწონილება საკითხების გადაჭრაში, რომელიც ეხება მთელი თემის, მაზრის და სრულიად რესპუბლიკის კომიტეტებს. აწყობს დახმარებას მათ რაიონის ფარგლებში და ანვითარებს საერთოთ კომიტეტების მუშაობას არსებული დებულების, გლეხთა კომიტეტების უმაღლეს ორგანოების დავალების და სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის და ადგილობრივი ორგანოების დირექტივების ფარგლებში.

§—15. საზოგადოებრივი საურთიერთო გლეხთა კომიტეტები, მთელი თავისი პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლად, თავის შემადგენლობიდან ირჩევენ არა ნაკლებ 3 წევრისა და ერთი კანდიდატისაგან შემდგარ პრეზიდიუმს, რომელიც არა უგვიანეს თითო კვირაში ერთხელ იკრიბება და ასრულებს კომიტეტის ყველა დადგენილებებს. მის დავალებით განაკარგულებს ფონდებით, გამგებლობს სოციალურ უზრუნველყოფის ყველა დაწესებულებებს. სასწრაფო შემთხვევების დროს იწვევს კომიტეტის საგანგებო კრებას. პრეზიდიუმი პასუხისმგებელია ფონდის სწორ აღრიცხვაში და თავ-თავის დროზე სწორ ანგარიშების წარმოებაში და სხვა.

§—16. საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტები ინახებიან საკუთარი ფონდის საშუალებით. ჯამაგირების რაოდენობას და ხასიათს არკვევს: სოფლის კომიტეტებისათვის სასოფლო ყრილობა, თემის კომიტეტებისათვის—მაზრის კომიტეტი, მაზრის კომიტეტებისათვის—ცენტრალური კომიტეტი, ხოლო ცენტრალურ კომიტეტისათვის—სრულიად რესპუბლიკის ყრილობა.

მუხ. 6. საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების რევიზია.

§—17. სოფლის კომიტეტების მოქმედების რევიზიის უფლება აქვს მათ სარევიზიო კომისიას, რომელიც შესდგება არა ნაკლები 3—წევრისა და 2—კანდიდატისა და ირჩევა სოფლის საერთო ყრილობის მიერ 6 თვის ვადით და აგრეთვე თემის კომიტეტებს. ხოლო უკანასკნელთა და მაზრის კომიტეტების რევიზიის უფლება ეკუთვნის საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების უმაღლეს მდგომ ორგანოებს. ცენტრალური გლეხთა კომიტეტის საქმეების რევიზია ეკუთვნის სარევიზიო კომისიას, რომელიც ირჩევა სრულიად საქართველოს გლეხთა კომიტეტების მიერ რიცხვით არა ნაკლები 3 წევრისა და 2 კანდიდატისა 6 თვის ვადით.

მუხ. 7. გასაჩივრება დადგენილებებისა და განკარგულებებისა საზოგადოებრივი საურთიეროო დახმარების გლეხთა კომიტეტებისა.

§—18. კომიტეტების მოქმედება შეიძლება განსაჩივრდეს გლეხთა საურთიერთო დახმარების უმაღლეს ორგანოებში და სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში და მის ადგილობრივ რწმუნებულებთან.

§—19. თუ თემის და მაზრის აღმასრულებელი კომიტეტები განასაჩივრებენ სოფლის, თემის და მაზრის კომიტეტების დადგენილებებს, შეუძლიანთ მისი გატარების შეჩერება, მხოლოდ არა უმეტეს 7 დღისა—სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მაზრის რწმუნებულისაგან დასკვნის მიღებამდის.

სოც. უზრუნველყოფ. სახალხო
კომისარი კ. **ხომერიკი.**
საზ. საურ. დახ. განყოფ.
გამგე **ათაბეგოვ—ტუმასი.**

მეცნიერება და ტექნიკა

სიკვდილი და მისი გამომწვევი მიზეზები.

ყოველი ცოცხალი არსება ბოლოს და ბოლოს სიკვდილის შვილია. სადაც ანთებულია სიცოცხლის ჩირაღდანი—იქვე ხდება მისი შეუბრალებელი ჩაქრობა—სიკვდილი. ამაში გვარწმუნებს ჩვენ ჩვენი ცხოვრების ყოველ დღიური მოვლენები.

ჩვენთვის მეტად გაუგებარი და თითქმის სისულელედაც მიგვაჩნია ფიქრი უკვდავების შესახებ. არის თუ არა სიკვდილი ბუნების საერთო წესი?

საზოგადოთ, ჩვენ ადამიანებს ერთი რამ დაგვჩემდა. ვერ გავცილებივართ ჩვენით შემოფარგლულ წუთი სოფლის ზღუდეს და ყველას და ყველაფერს ვსწონით და ფასს ვსდებთ ჩვენში არსებულ მოვლენების თვალსაზრისით.

წმინდა მეცნიერული კვლევა ძიებით მიღებული შედეგები კი ამტკიცებდენ, რომ აუარებელი ცოცხალი არსებანი წუთისოფლად პრინციპიალურად უკვდავი არიან.

პირველად ყოვლისა ასეთ უკვდავ არსებებს ეკუთვნიან ყველა ერთ უჯრედოვანი ცხოველები და მცენარეები. სიკვდილი კი მრავალ უჯრედოვან და უფრო განვითარებულ ორგანიზმების ხვედრია. აქ ბუნებრივია კითხვა, რატომ მაინცა და მაინც უფრო რთული, განვითარებული ორგანიზმების პრივილეგიას წარმოადგენს სიკვდილი? ერთის შეხედვით გეგონებათ, რომ რაც უფრო განვითარებულია ორგანიზმი, მით მეტი და დიდი ხნის სიცოცხლე და უკვდავებაც უნდა სდევდეს თანა, თორემ და რა საჭირო იყო ეს ორგანიზმის განვითარება? ჩვენი ლოღიკა ამ წინააღმდეგობას ვერ ეგუება. ეს კითხვა მეტად საინტერესო კითხვა, და თითქმის ყველა გამოჩენილი მეცნიერ ბიოლოგები თავისებურად ხსნიდენ ამ მოვლენას. მე მოვიყვან ზოგიერთის შეხედულებას.

ვეისმანი ამ მოვლენას უკავშირებს ბუნებრივ შერჩევას. ის ხედავს სიკვდილში მიზან შეწონილ და სასარგებლო მოვლენას, რომელიც მიმართულია ადამიანის ჯიშის განვითარებისაკენ. მისი აზრით,„უმაღლეს ცხოველების დაუსრულებელი სიცოცხლე იქნებოდა სრულიად ზედ მეტი და გაუმართლებელი ფუფუნება, რაც ერთობ დიდ დაღს დააჩენდა ყოველი ცოცხალი არსების შემდეგ განვითარების პროცესს. მართლაც, ცხოველის ორგანიზმი თავისი არსებობის დროს ცვდება. ის იძენს ათასგვარ ჭრილობებს, მახინჯდება, ნაკიანდება, ხშირად განიცდის ავადმყოფობას და ყველა ეს სხეულის დეფექტები წლობით თავს იყრიან და რა თქმა უნდა ერთობ ცუდათ იმოქმედებენ სასქესო თესლის უჯრედებზე, ხოლო ეს უკანასკნელები კი შემდეგი თაობის სიცოცხლის განვითარების დასაწყისად ითვლებიან. ბოლოს, დაძველებული, გაცვეთილი და დამახინჯებული ორგანიზმები კიდევ მით არიან საზარალო, რომ ისინი ადგილს ართმევენ უფრო ახალგაზრდა, ძლიერ და ჯანსაღ ორგანიზმებს. ამიტომ ყველაზე უკეთესი ის იქნება, რომ ისინი დაიხოცნენ და ადგილი დაუთმონ ახლებს, ახალ ფორმაციას. აქედან ვეისმანი დაასკვნის, რომ როდესაც ორივე სქესის ცხოველები შეასრულებენ თავიანთ ბუნებრივ დავალებას, აღზრდიან ახალ თაობას, უნდა დაიხოცნენ და ეს მოვლენა უნდა განვიხილოთ, როგორც მეტად გამოსადეგი შეგუება, რომელიც ისე თანდათანობით არის გამომუშავებული, როგორც ორგანიზმის ყველა ნაწილების შეგუება. რომ არ ყოფილიყო სიკვდილი, წუთისოფელი უფრო დაუთავებელი და უფერული იქნებოდა. საინტერესოა ამ საკითხზე უახლესი თეორიებიც, რომელსაც შემდეგ წერილში შევეხები.

შ. ხ.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. თო-დრდავას: თქვენი წერილი „უფრო მჭიდრო კავშირისაკენ“ არ გავა. სწერეთ კორესპოდენციები ნაწილის ცხოვრებიდან.

ამხ. ჯაჯილს: თვენი ლექსი „მგზავრი და მხედარი“ არ დაიბეჭდება. უკეთესია სწეროთ კორესპოდენციები ნაწილის ცხოვრებიდან.

2-რე ლეგ. სამკორს ამხ. გუჯაბიძეს. რედაქცია არც ერთ წერილს უპასუხოდ არ სტოვებს. იმ 5 წერილიდან, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ ჩვენ მხოლოდ ერთი მივიღეთ. არ არის საჭირო მხატვრულად წერა. მოიწერეთ წერილები.

მუშკორ ქაჯს. თქვენი კორესპოდენცია არ გავა. გვაცნობეთ ვინაობა და მისამართი.

წ. არმ. ბერბერაშვილს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1200. სამხედრო სტამბა პასუხისმგებელი რედაქტორი—დ. ხინტიბიძე.